HonorarArzt.de **Rezensionen** ★★★★★

Name: **Sophio M.**

Herkunftsland: **Georgien**

ბუნებრივია პროფესიული განვითარება და კარგი ანაზღაურება ყველა ექიმის მიზანია. რასაკვირველია ჩემთვისაც იყო ცნობილი, რომ ამ მიზნის მიღწევა და განხორციელება ქართველი ექიმებისთვის გერმანიაში შესაძლებელია. ამისთვის საჭირო იყო გერმანული ენის ცოდნა, გერმანიაში სამუშაო ადგილის პოვნა, დაფინანსება და მთელი რიგი ბიუროკრატიული საბუთების მოწესრიგება.
საშუამავლო კომპანია Al Medikal-ის შესახებ ჩემი მეგობრის, დღეს უკვე გერმანიაში წარმატებული ქართველი ექიმის მიერ შევიტყვე, რომელმაც თავის დროზე ამ კომპანიის დახმარებით დაიწყო გერმანიაში მუშაობა.
მიუხედავად იმისა, რომ გერმანული საერთოდ არ ვიცოდი, მოტივაცია იმდენად დიდი იყო ჩემში, რომ ძალიან მოკლე დროში შევძელი გერმანული ენის სწავლა და გოეთეს B2 სერტიფიკატის აღება.
ამის შემდეგ დავუკავშირდი კომპანია Al Medikal-ის ხელმძღვანელს ბატონ რიჩარდ ტომალკას. მან შემომთავაზა სამუშაო ადგილი გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში და ერთ თვეში აღმოვჩნდი გასაუბრებაზე, რომელმაც წარმატებით ჩაიარა.
კომპანიამ თავის თავზე აიღო ჩემი საბუთების მოწესრიგება და ყველანაირი პროცედურის როგორც ორგანიზება ასევე ფინანსური უზრუნველყოფა.
ბატონმა ტომალკამ ორგანიზება გაუკეთა ჩემს ორთვენახევრიან ჰოსპიტაციას კლინიკაში, და Fachsprachprüfung- ის გამოცდის დანიშვნას, რომელიც წარმატებით ჩავაბარე.
ბუნებრივია ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ ამ ყველაფრის ორგანიზება და ფინანსური უზრუნველყოფა, არამედ მორალური მხარდაჭერაც, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობდი ბატონ ტომალკასგან. მასთან მქონდა მუდმივი სატელეფონო კონტაქტი და მისი დახმარებით ყველანაირი პრობლემა გვარდებოდა.
ჩემზე გაწეული ხარჯები, გერმანიაში მუშაობის დაწყებდან მხოლოდ 3 წლის შემდეგ ავუნაზღაურე კომპანიას.
ამ ხნის განმავლობაში ბატონი ტომალკას დახმარებით ორჯერ შევიცვალე სამუშაო ადგილი და ორივეჯერ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამასობაში შევძელი აპრობაციის გამოცდის ჩაბარება და ეხლა უკვე აპრობირებული ექიმი ვარ გერმანიაში.
მე მთელი ცხოვრება მადლიერი ვიქნები ამ პიროვნების, რადგან მისი პროფესიონალური და ადამიანური დახმარების გარეშე ამ გზის გავლა ჩემთვის ძალიან რთული იქნებოდა.
მოხარული ვიქნები თუ ჩემი ეს ისტორია და Al Medikal-თან
თანამშრომლობის გამოცდილება გერმანიაში მუშაობის სურვილის მქონე ქართველ ექიმებს გზის გაკვლევაში დაეხმარება. მინდა წარმატება ვუსურვო ყველას ვინც ეს გზა აირჩია.